ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №59

ქ. თბილისი 20 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ აარა „თეთრიწყარო-წყალი" (შემდეგში „შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ შპს „პოლიმერი-I" (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პ/ე მილი d 32 pn-10 1000 მეტრი სიგრძის პოლიეთილენის მილის ერთეულის ფასი 1,25 ლ., სულ 1250 ლარის /44163100-CPV/, d 20 pn-16 1000 მეტრი სიგრძის პოლიეთილენის მილის ერთეულის ფასი 0,75 ლ., სულ 750 ლარის /44163100-CPV/.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1. შემსყიდველის მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხიანი საქონლის მიწოდება.

3.2. შემსყიდველის მიერ საქონლის შემოწმებისას დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა ან საქონლის ახლით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია

3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად მიწოდებისა და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გადასახდელი თანხიდან.

5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.

5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. გარანტია

7.1 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა არის 1 წელი.
7.2 თუ აღნიშნულ ვადაში და პირობებში დაზიანდება მიწოდებული საქონელი, რომელიც არ იქნება გამოწვეული გარე მექანიკური ზემოქმედებისაგან ან მათი არასწორი ექსპლუატაციისაგან, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა ან/და საქონლის ახლით შეცვლა.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მითითებულია გათვალისწინებით.
9.4ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

10.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;

ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11. ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს ააიპ „თეთრიწყარო-წყალი"-ს მთავარი ბუღალტერი – ლექსი წიკლაური.
11.2 მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. აფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

12. დავის გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 20 აგვისტოდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საიპ „თეთრიწყარო-წყალი“	შპს „პოლიმერი1“
მის: ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქ. №9	მის: ქ. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა
ს/კოდი: 430797792	ს/კოდი: 206346097
საბანკო რეკვიზიტები:	
სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:
კოდი:TRESGE22	სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“
ა.ა. GE24NB0330100200165022	ბ/კოდი UGEBGE22
	ა.ა. ა/ა GE54VT6600000009323602
დირექტორი	დირექტორი
_____	_____
გია ბოლოდირიძე	ამირან ადეიშვილი
ფოსტა: tetritskali@gmail.com	ვებ.გვერდი: www.polimeri1.ge
	ფოსტა: info@polimeri1.ge

მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი 20 აგვისტო 2016 წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნმა ერთის მხრივ აარპ „თეთრიწყარო-წყალი"-ს დირექტორმა გია გოცირიძემ, აარპ „თეთრიწყარო-წყალი"-ს მთავარ ბუღალტერმა ალექსი წიკლაურმა, ხოლო მეორეს მხრივ: შპს „პოლიმერი-I"-მა შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ აარპ „თეთრიწყარო-წყალს" და შპს „პოლიმერი-I"-ს შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2016 წლის 20აგვისტოს გაფორმებული №59 ხელშეკრულების შესაბამისად შპს „პოლიმერი-I"-მა დროულად უზრუნველყო შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემა. ანანაზღაურებელი თანხა შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

აქტის სინამდვილეს ხელს ვაწერთ:

გია გოცირიძე
აარპ „თეთრიწყარო-წყალი"-ს
დირექტორი

ამირან ადეიშვილი
შპს „პოლიმერი-I"-ს
დირექტორი

ალექსი წიკლაური
აარპ „თეთრიწყარო-წყალი"-ს
მთავარი ბუღალტერი